ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

05.09.2018

ქ.ახალციხე

ერთის მხრივ ფერმერი ემზარ ზაზაძე, მცხოვრები ახალციხის მუნიციპალიტეტის, სოფელ კლდეში ტ. 555-30-44. (შემდგომში „შემკვეთი"), მეორეს მხრივ სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, წარმოდგენელი უნივერსიტეტის რექტორის მაკა ბერიძის სახით (შემდგომში „შემსრულებელი") ვდებთ აღნიშნულ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის აგრონომიის მიმართულების სპეციალისტების მიერ კვლევების ჩატარება ახალციხის მუნიციპალიტეტისათვის, ფერმერ ემზარ ზაზაძის ფერმერული მეურნეობისათვის - თემაზე - „ტრიტიკალეს მოვლა მოყვანის მღალმოსავლიანი აგროტექნოლოგიის შესწავლა ახალიხის პირობებისათვის"

2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1 შემკვეთი იღებს ვალდებულებას:

-შემსრულებელს შეუქმნას ხელსაყრელი პირობები კვლევის ჩასატარებლად და იმოქმედოს შემსრულებლის მითითებების მიხედვით;

2.2 შემსრულებელი კისრულობს ვალდებულებას:

- ჩაატაროს კვლევა წინასწარ შედგენილი მეთოდოლოგიით;

- პერიოდულად დამკვეთს მიაწოდოს ინფორმაცია მის მიერ ჩატარებულ სამუშაოების შესახებ.

-შემსრულებელი კვლევის დამთავრების შემდეგ დამკვეთს მიაწოდებს კვლევის შედეგებს და რეკომენდაციებს

2.3 თუ შესრულებელი სამუშაო არადამაკმაყოფილებელია, შემსრულებელი ვალდებულია აღმოფხვრას ნაკლი შემკვეთის მიერ განსაზღვრულ ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში შემკვეთს უფლება აქვს გააუქმოს ხელშეკრულება.

3. სხვა პირობები

3.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2019 წლის 01 დეკემბრამდე;

3.2 ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა ურთიერთშეთანხმებით;

3.3 მხარეთა პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

3.3 ყველა დავას, რომელიც წარმოიშობა მოცემულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით და მისგან გამომდინარეობს, მხარეები გადაწყვეტენ მოლაპარაკების გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში მიმართავენ სასამართლოს;

3.4 ხელშეკრულება შედგენილია ორ იდენტურ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან, ორივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

შემსრულებელი	დამკვეთი
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფერმერი ეზაურ ზაზაძე,
ახალციხე, რუსთაველის N 106	ფერმერი ზურაბ სურმანიძე,
	მცხოვრები ასპინძის რაიონი
	ტ.577-62-65-47
ხელმოწერა	ხელმოწერა